


# ମୋହାର

№4, 2013

109-୩



# იუბილი



**ძვირფასო ბავშვებო!**

ახლახან 75 წელი შეუსრულდა თქვენთვის და ჩვენთვის საყვარელ პოეტს ავთანდილ მეგრელიშვილს.

მივულოცოთ მას ეს მნიშვნელოვანი თარიღი და ვუსურვოთ დიდხანს, დიდხანს გაეხარებინოს ჩვენი გულები ამგვარი ლამაზი და ხალასი ლექსებით.

თქვენი, უურნალ „დილის“ და ქართველი საბავშვო მწერლების სახელით ვულოცავთ მას იუბილეს.

## ნორამი რა ნახავო



შეუკერეს ნორარიკოს

კოხტა ჩოხა-ახალუხი.

ქამარ-ხანჯალიც იჩუქეს,

მოსირმული, ფერად - რუხი.

ჩააცვეს და სიხარულით

აუტოკედა მკლავი, მუხლი,

ხანჯლით ქვაბებს მიუარდა და

აუკენა რახარუხი.

შემდეგ ქზოში გაიჭრა,

შეაშინა კატა, კრუხი...

ხანჯლის ქნევით მოირბინა,

ჟანა, ბაღი, იალაღი.

დააკავეს საღამოს და

ჩამოართვეს იარაღი.

## უცხისით ფოთოგბი

დედამ მითხრა: ფოთლებიც

ამ ჭაერით სუნთქავენ...

რამდენიმე მოვწევიტე,

გარგად გავასუფთავე.

ვატრიალებ თითებით

და მზის შუქტე დავურებ.

ცხვირი ვერსად ვუნახე

ხის ფოთლებს და სამურებს.

დამ თქბა: – ცხვირს ვერ უნახავ

მთელი დღე რომ უცხისირო!

როგორ სუნთქავს ფოთოლი

ჭაერს, აბა, უცხისიროდ?!

მხატვარი  
რომანა შელეგია



# ე პ ტ

ქართველი შილაშვილი

დათოს დაბადების დღეზე უფროსმა დამ სა-  
თამაშო დათვი, მელია და ლომი აჩუქა. დილით  
შეამჩნია, რომ სათამაშოები საწოლის ფეხზე  
იყო მიბმული.

— საჩუქარს ასე უნდა მოეპყრო? — უსაყვე-  
დურა დათოს.

— ნათია, ესენი გარეული ცხოველები  
არიან; საშიშია, ჯერ უნდა მოვაშინაურო, —  
განუმარტა ძმამ.



მხატვარი  
ქათი ბაიცდურაშვილი

## ზაჟშნა

— უჰ, უჰ... ააწრიპინა თავისი „სკრიპკა“, — აიმრიზებოდა მაგდა, ზაზას ვიოლინოს ხმას  
რომ გაიგონებდა.

— წუუ, წუუ, ააწრიპინა, — მხარს აუბამდა სოფო და გაბუსხული დები ოთახის შუაკარს  
ხურავდნენ.

ზაზა ისე გულმოლგინედ მეცადინეობდა, რომ დების ბუზ-  
ლუნი არ ესმოდა.

... ერთ დღეს კი დებმა კარი ვეღარ დახ-  
ურეს, ისე საამოდ უკრავდა ზაზა, ისე  
ლამაზად ათამაშებდა თავის პატარა  
თითებს სიმებზე და ისე ნარნარად  
აპქონდა-ჩამოპქონდა ხემი, რომ  
თვალი ვერ მოაშორეს.

ჩაჩუმდა თუ არა ვიოლინო,  
გოგონებმა ტაში შემოჰკრეს,  
აღარ იცოდნენ, როგორ გამო-  
ეხატათ აღტაცება.

— ეს სავიოლინო პიესაა, „ზა-  
ზუნა“, კონცერტზე უნდა და-  
ვუკრა, — უთხრა ძმამ.

— შენ კი ჩვენი ზაზუნა ხარ! —  
შეჰქაროდნენ დები მევიოლინე ძმას.



# ნათება ჭანაშიდა

## უატუატი ფართი

სათაგვეთში წმია გამოარდა:  
ჭირვეულმა ფისუნამ,  
ეველასათვის გასაკვირდა,  
ბატიბუტი ისერვა!

ახე უთქვამს, — კინც მომიტანს  
გნატუნას და თბილსაო,  
უცცს დავდებ, რომ ა-რა-სო-დეს  
დავაკრებ კბილსაო!




ღაფაცურდნენ თაგუნები,  
თათბირობენ წმამაღლა.  
გაახსენდათ, ბატიბუტს რომ  
მელაყუდა ზალავდა.

კისლისტებით გაექანენ,  
გზა სირბილით გალიეს  
და მელიას ბატიბუტი  
სწრაფად მოახალვინეს.


მეტე ზურგზე მოიკიდეს  
სავსე-სავსე ტომრები  
და ფისუნას სახლთან დადგეს  
ბატიბუტის გორები.



კნუტის ბარით შეუთვალეს,  
— მოგართვით, ლაც ისურვეთ;  
იმდენია, უმასპინძლებთ  
თქვენს მეგობარ ფისუნებს.  
გაიხარა ფისომ მლიერ,  
წამიც არ დაასანა  
და მეგობარ ფისუნიებს  
ეს ამბავი ახარა:



— გადავწევიტე, რომ გავმარტოდ  
ბატიბუტი ფართიღა.  
ფიცს თუ დადებთ, თაგვებისკენ  
არ წაგცდებათ თათიღ,  
მაშინ გელით, მოვილზინოთ,  
დოლ კატართ კარგიღ!



რომ იცოდეთ, შატარებო,  
რა სდებოდა იმ ლამით?..  
მონაჭორს კი არ გიუბებით,  
მეც იმ ფართზე ჭიუბვი.

...და ნამდვილად ასე ვნახე  
(არ ვაჭარბებ სხულებით):  
თაგვები და ფისოები —  
ხელ-გა-და-ხეე-უ-ლე-ბი!

თქვენ თუ გინდათ, დამიჯვრეთ,  
გინდათ, ნუ დამიჯვრებთ:  
იმ დღის შემდეგ ფისუნები  
თაგვებს აღარ იჭერენ!



მსატვარი  
ლაშა სულაკაური

# ბობო იმპ



ასეც ხდება, ოდესმე  
სიზმარიც აცხადდება,  
ხომ ჰგავს ანგელოზისას  
ჩემი გამოცხადება?  
პანაწინა, თოთო ვარ  
სხივის ნამცვრევ-ნამცეფი,  
ერთი წყრთა მამიკოსი  
არც ნაკლები, არც მეტი.



მოვა ჟამი, გაგიმხელთ  
საიდუმლოს უდიდესს –  
იმ დღეს ვით შემადარეს  
პირმშვენიერ ბრუნპილდეს.  
მართლაც, ჩემებრ კოპნია,  
ჩემებრ თვალებხატულა,  
ვინმეს სადმე უნახავს?  
ანდა სადმე ნახულა?



# ლეგნებორიჟილ


Sophie

რისი ლოლობრიჯიდა,  
რისი მონრო მერლინი.  
ერთი დღისამ დავჩრდილე  
პრინცესები ბერლინის.  
მე ვინა ვარ? – ვინა და  
სოფი, სოფო, სოფიო  
კვარცხლბეკიდან გადმოვსვამ  
მალე მე „მის მსოფლიოს“.

Imogen

Sophie

დამაცადეთ, ვიდრემდი  
დამიდგება ზღაპრის დღე.  
მამიკოს ხელებიდან  
გამოვფრინდე, ავფრინდე.  
მანამ ცოტაც მაცალეთ,  
კარგად გამოვიძინო.  
ცხრა ცის ცხრა ანგელოზთან  
ვიფრინო და ვიცინო...  
ცოტაც წამოვჩიტდე და  
ცოტაც გამოვფოფინდე...



ბერლინის უურნალიდან  
„დილაში“ გადმოვფრინდე,  
მერე ერთად გავმართოთ  
ჩვენი იწილ-ბიწილო.  
ახლა დიდი ბოდიში,  
უნდა გამოვიძინო.




# ცხრილის ცხრა

დამეთანხმებით, რომ ერთი შე-  
ხედვით, ზებრა მართლაც ძალიან  
ჰქონდეს ცხენს, მაგრამ სინამდვილე-  
ში მათ შორის დიდი განსხვავებაა.  
ვინ მოთვლის, ადამიანმა რამდენ-  
ჯერ სცადა, ამ მომთაბარე ცხოვე-  
ლის მოთვინიერება, მაგრამ ყველა  
ცდა ამაო გამოდგა. ზებრებმა არ  
მოისურვეს, ყოფილიყვნენ ცხე-  
ნებივით მორჩილი, არ მოისურვეს  
ზურგით ეტარებინათ ადამიანები  
და ტვირთი, თუმცა ტყვეობას კი  
შეეგუენ – მათი ნახვა თბილისის  
ზოოპარკშიც შეგიძლიათ.



ზებრა ბინადრობს აღმოსავ-  
ლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ  
აფრიკაში.

დღეისთვის გავრცელებულია  
ზებრების 3 სახეობა: მთის ზებ-  
რა (*Equus zebra*), გრევის ზებრა  
(*Equus grevyi*) და კვაგა (*Equus qu-  
agga*). ზებრის სხეულის სიგრძეა  
2-2.5 მ. წონა – 350 კგ-მდე. მაკე-  
ობა გრძელდება 346-369 დღეს,  
შობს 1-2 ნაშიერს.



## ზებრა (Equus)

სამეფო – ცხოველები

კლასი – ძუძუმწოვრები

რიგი – კენტრილიკოსნები

ოჯახი – ცხენისებრნი





# ବ୍ୟାକା ଯେବୁ ଏହିଏ, ଏହିଏ...

საერთოდ, ჯოგის წევრები შე-  
თანხმებულად მოქმედებენ. ღამით,  
როდესაც ოჯახს სძინავს, რამდენი-  
მე ზეპრა გუშაგის როლს ასრულებს.  
როცა გუშაგი მოახლოებულ მტა-  
ცებელს შეამჩნევს, ოჯახს ფრუტუ-  
ნით ამცნობს საფრთხის შესახებ. თუ  
ჯოგში რომელიმე წევრი ავად არის  
ან სიბერისგან დაუძლურებულია და  
სხვებს ნაბიჯს ვერ უწყობს, ზეპრე-  
ბი ანელებენ სვლას და ჩამორჩენილს  
ელოდებიან. როდესაც საფრთხე  
ემუქრებათ, ულაყი უშიშრად დგე-  
ბა მტაცებელ ცხოველსა და დედალ  
ზეპრებს შორის, მტერს ნიხლებს  
უშენს და ამით სხვებს გაქცევის სა-  
შუალებას აძლევს.

ამ ზოლიან ცხოველს კარგად აქვთ  
განვითარებული გრძნობის ორგანო-  
ები: გამოირჩევა შესანიშნავი მხედ-  
ველობით, როგორც დღისით, ასე ლა-  
მით (ფიქრობენ, რომ ის ფერებსაც კი  
არჩევს), ასევე ყნოსვით და სმენით;  
სხვათა შორის, ზებრას შეუძლია, ყუ-  
რები თითქმის ყველა მიმართულებით  
ამოძრაოს.

ზოლებიანი ზეპრა აფრიკის სავანების მაღალ ბალა-  
ხებში ძნელი შესამჩნევია. მისი მუქი და ლია ფერის ზო-  
ლები აბნევს მტაცებელს და მწერებს, მათ შორის ბუზ  
ცეცხესაც, რომელიც მეტად საშიშია ყველა ძუძუმნოვ-  
რისოთვის. ცეცხეს უამრავი დაავადება გადააქვს და მის  
ნაკედნებს მსხვერპლი სიკვდილამდე მიჰყავს. იმის და-  
სამტკიცებლად, რომ ცეცხე ზეპრას არ ერჩის, მეცნიე-  
რებმა დაამზადეს ორი კასრი, რომლებიც შეერთებული  
იყო დენის წყაროსთან და მიახლოებისას მწერს კლავ-  
და. ერთი კასრი ზეპრასავით შავ-თეთრი ზოლებით მო-  
ხატეს. ცდის დასასრულს აღმოჩნდა, რომ ზოლიან კას-  
რთან 53-ჯერ ნაკლები მწერი დახოცილიყო.

ზებრები სისუფთავის მოყვა-  
რული ცხოველები არიან. ისინი  
ხშირად უწმენდენ ერთმანეთს  
ფაფარს, ბეჭებსა და ზურგს. ძა-  
ლიან უყვართ ქვიშის აბაზანები,  
რაც საუკეთესო საშუალებაა კა-  
ნის სხვადასხვა პარაზიტისგან  
გასათავისუფლებლად. ზებრების  
სიახლოეს ხშირად ნახავთ პატა-  
რა ჩიტებსაც, რომლებიც ცხოვე-  
ლებს კანის გასუფთავებაში ეხმა-  
რებიან – კანის პარაზიტები ხომ  
მათი უსაყვარლესი დელიკატესია.



ჰატარა ზებრას დაბადებიდან 20 წუთის შემდეგ  
უკვე შეუძლია სიარული, ნახევარი საათის შემდეგ კი  
დარბის კიდეც. ეს მნიშვნელოვანია, რადგან არც დედა  
და არც შვილი ჯოგს არ უნდა ჩამორჩნენ. საშიშროების  
მოახლოებისას დედა ზებრები სწრაფად კრავენ ნრეს  
პვიცების გარშემო.  
ახალშობილ ზებრას ტანზი მ-  
დასდევს.

# საქანე სული

იყოდა არა იყორა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ცოლ-ქმარი. ლამაზ სოფელში ცხოვრობდნენ, კარგი ეზო-კარი ჰქონდათ, პატარა, ლამაზი სახლი, ჰყავდათ ათობით ფრთა ქათამი, ინდაური და ბატი, ერთი მეწველი ძროხა, ძალლი, კატა...

მაგრამ, რაც მთავარია, არ ჰყავდათ შვილი. დღენიადაგ ღმერთს ევედრებოდნენ, ერთი შვილი მაინც გვაჩუქეო.

შრომით დალლილ-დაქანცული აივანზე ჭრელ ფარდაგგადა-ფარებულ ტახტზე მიწვებოდნენ და ჩუმად საუბრობდნენ. რაზე არ ოცნებობდნენ, თან მთვარესა და მოკიაფე ვარსკვლავებით მოჭე-დილ ცას თვალს არ აშორებდნენ. ქალი შეჰიმოდა მთვარეს და შეს-თხოვდა ღმერთს, რა იქნება, ერთი გაბადრული გოგო კალთაში ჩა-მიგორდესო. კაცი კიდევ, ვარსკვლავით თვალნათელი ბიჭი მომცა ერთიო, ნატრობდა.

ერთხელაც გადაწყვიტეს, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას სტუმ-რებოდნენ და სასწაულმოქმედს შვილს შევედრებოდნენ. დილაად-რიან, ჯერ ბალახზე ნამი არ ამშრალიყო, მზის სხივები თითქოს შიგ უივუივებდნენ, ხელიხელჩაკიდებულებმა ფერდობი ჩაირბინეს, მდინარესთან ჩამხობილი ნავი გადმოაბრუნეს, ნიჩები აიღეს. ნავი მდინარეში შეუშვეს და შიგ ჩასხდნენ. მდინარე მშვიდად მიდუდუნებდა, თითქოს ეალერსება ნავსო, ისე ახვევდა თა-ვის პატარა ტალღებში და მიაცილებდა მეორე ნაპირისკენ.

გავიდნენ გაღმა, ნიჩები იქვე დააწყვეს. აღმართს აუყ-ვნენ. ტყეში გრილოდა, ფოფოში იდგა, ლელვის ხეებზე ტოტიდან ტოტზე დახტოდნენ ჩიტები; ზოგი გალობდა, ზოგი სტვენდა, ზოგი კუტკუტებდა; მოზრდილი ნამი, ერთი ფოთლიდან მოწყვეტილი, ქვედა ფოთოლზე მზის სხივებად იღვრებოდა. ხის ძი-რას ნეშომპალაში მაჩვი თუ კურდლელი ფუთფუთებდა, იქვე მიწის თაგვი დასუსუნებდა. ორი დაბრძენებული მუხის ფესვებს შორის, თავისივე გაჭრილ კალაპოტები ნაკადული ისე გარბოდა, თითქოს უნდოდა, ვინმეს დასწეოდა, ცოლ-ქმარი ხელიხელჩაკიდებული უცებ თითქოს ნათელში გავიდა; მორკალულ მოედანზე ჩაფიქრე-ბული საყდარი იდგა. ხის კარი დახურული იყო.

ორი საფეხური აიარა ცოლ-ქმარმა. კაცმა მოზრდილ სახე-ლურს ხელი შეახო და კარი თავისუფლად შეაღო. ეკლესიაში ჭრელი სარკმლებიდან შემოვარდნილი მზის სხივი თითქოს იატაკზე იმსხვრეოდა ოქროს ნამცეცებად, ირგვლივ საკ-მევლის სურნელი ტრიალებდა, სიმყუდროვემ და სიმშვი-დემ ცოლ-ქმარი როგორლაც შეაშფოთა. კანკელის გვერ-დით ღრმა ჩარჩოში წმინდა ნიკოლოზის დიდი ფერადი ხატი დაბრძანებულიყო. ცოლ-ქმარი მუხლებზე დაეშვა და მხურვალე ლოცვას შეუდგა. მერე უხმოდ გამოვიდ-ნენ, ეკლესიას ჩოქვით სამჯერ შემოუარეს, ისევ შევიდნენ

ტაძარში, ილოცეს და დამშვიდებულები სახლისკენ გაბრუნდნენ. მთელი გზა ერთმანეთს არ გამოლაპარაკებიან, ისე მივიდნენ შინ. ახლა დედმამისეული ხატების წინ ისევ დაანთეს სანთელი, ისევ ილოცეს, ისევ შესთხოვეს წმინდა ნიკოლოზს, გვალირსე ერთი შვილი.

გავიდა დრო, ცოლ-ქმარს შვილი ეყოლა. მოაჩიტეს თუ არა ბავშვი, გადაწყვიტეს, წმინდა ნიკოლოზს ხლებოდნენ და მადლობა გადაეხადათ, შევეძრებოდნენ, როგორც გვაჩუქე, ისე გაგვიზარდეო.

ისევ ის გზა გაიარა ცოლ-ქმარმა, ისევ ისე ჩასხდნენ ნავში და გავიდნენ. მშვიდი ამინდი იდგა, მზე უხვად აფრქვევდა თავის ბარაქიან სხივებს, მაგრამ... როგორც ყოველთვის, სად იყო და სად არა, ქარი ამოვარდა, მიზნიქ-მოზნიქა ასწლოვანი ხეები, მშვიდად მოჩუხუხუხე მდინარე თითქოს გაცოფდა, ნავი ააბურთავა, ცოლ-ქმარი ძლივსლა იკავებდა თავს. დედას მაგრად ეჭირა მკლავებში შვილი, ეშინოდა, ხელიდან არ გავარდნოდა. ქარი ევლებოდა და ევლებოდა, ერთმა უზარმაზარმა ტალღამ შიგ ნავში მოადინა ტყლაშუნი, ერთიანად დაასველა ცოლ-ქმარი და ბავშვი. ერთი შეჰკივლა დედამ, ბავშვი თევზივით გაუსრიალდა ხელებიდან და წყალში ჩავარდა. არემარეს იკლებდა მშობლების კივილი, მაგრამ მშველელი არსად იყო. უეცრად ქარმა ნავი ნაპირს მიაგდო და ცოლ-ქმარი რიყეზე გადმოყარა.


ღმერთმა იცის, როდემდე ეყარნენ ასე პირქვე დამხობილი, აღრიალებულები.

ბოლოს ტირილით დაღლილ-დაქანცულები წამოდგნენ. ქმარმა ცოლს ხელი ჩაჰკიდა და წამოაყენა. წავიდეთ, ეკლესიაში შევიდეთ, ისევ ვთხოვოთ შველა წმინდა ნიკოლოზსო, ჩასჩურჩულა ცოლს და გზას გაუდგნენ. ქარი ისევ ზუილით იკლებდა იქაურობას, აფორიაქებულ ტყეში ხეები ერთმანეთს ეხლებოდნენ, თითქოს გაუბედურებულ დედ-მამასავით ისინიც გაჰკიოდნენ რაღაც სამწუხაროს, და ეკლესიაც გამოჩნდა.

ცოლ-ქმარმა პირჯვარი გადაისახა, ეკლესის კარი მოლიავებული იყო, უამრავი სანთელი თითქოს თრთოდა, ცახცახებდა. ცოლ-ქმარი მუხლებზე დაეცა. ტირილით და კვნესით შეევედრნენ წმინდა ნიკოლოზს, იქნებ შვილი დაგვიბრუნოო. ამ დროს თითქოს ლულუნი ჩაესმათ, ფეხზე წამოცვივდნენ, წმინდა ნიკოლოზის ხატს მიეახლნენ და აი, საოცრებავ, ვარდისფერ სველ პერანგში, სველი თმითა და სახით პატარა ბიჭი ხელებით რაღაცას ეთამაშებოდა და ილიმებოდა, ეს სასწაული ჯერ მოჩვენება ეგონათ, მერე მათკენ გამოშვერილი ორი ხელი რომ დაინახეს და ბავშვის კისკისი გაიგონეს გაოგნებულები მისცვივდნენ, მაგრამ ხელის შეხებას ვერ ბედავდნენ, მგონი, დედამ ჰკითხა კიდეც წმინდა ნიკოლოზს, შეიძლება ავიყვანოო? მა-მამ ვეღარ მოითმინა და შვილი ხელში აიყვანა, ხატის წინ ჩაიჩიქა შუბლი სამჯერ დაჰკრა იატაკს. მადლობა გადაუხადა წმინდა ნიკოლოზს და...

ქარი ჩადგა. მზე ამოვიდა. მდინარე ლმობიერად მიაპობდა პატარ-პატარა ტალღებს. ნავი მშვიდად მიირხეოდა სოფლისკენ. ისე გავიდნენ სამივენი ნაპირზე, ბავშვს ხელები დაბლა არ ჩამოუშვია, თითქოს ზეცაში მადლობას ეუბნებოდა ღმერთს პატარა ცაცებით.





ანზორ აბულაშვილი თავის ბიოგრაფიას ასე იწყებს: „დავიბადე 1932 წლის 3 მაისს სიღნალის რაიონის სოფელ ჯუგაანში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელება და დავამთავრე პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. ჩქარა მუშაობა დავიწყე საყმანვილო უურნალ „დილაში“ კორექტორად, შემდეგ გადამიყვანეს უფროსი ლიტერატურული მუშაკის თანამდებობაზე, ხოლო 1977 წლიდან უურნალ „დილის“ პასუხისმგებელ მდივნად ვმუშაობდი.“ ძალიან უყვარდა ეს უურნალი და იქ გატარებულ წლებსაც სიამოვნებით იხსენებდა.

ანზორ აბულაშვილის ლვანლი „დილელებს“ არასდროს დაავიწყდებათ. ბავშვები-სთვის პირველი ლექსი 1954 წელს გამოაქვეყნა. მას მერე ხშირად ახარებდა პატარა მკითხველს სახალისო, ჭკუის სასწავლებელი, საოცრად რიტმული და მუსიკალური ლექსებით.

მისი ამქევეყნიდან წასვლით ძალიან ბევრი დააკლდა ჩვენს უურნალსაც და ქართულ პოეზიასაც.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ანზორ აბულაშვილის ერთ მშვენიერ ლექსს, რომელიც პირველად 1976 წელს დაიბეჭდა „დილაში“. ვფიქრობთ, ის დღევანდელ ჩვენს მკითხველსაც მოხიბლავს და შეაყვარებს ამ დიდებულ ქართველ პოეტს.

# მ ი მ გ ზ ა უ რ ი

ერთხელ დედას გაეპარა  
და გულადმა ბატის ჭუკმა  
იღერღეტა აღმა-დაღმა,  
იღერღეტა შუკა-შუკა.  
თან ფიქრობდა: – ეს ქვეყანა  
ფეხით უნდა მოვიარო,  
იმ მთებიდან ამ მთებამდე  
არცთუ ისე შორიაო.  
ვივლი, ვნახავ უცხო მხარეს  
დამკვიდრებულ ქათმებს, ბატებს,  
შორი გზებით ხეტიალი  
ჭუა-ცოდნას მომიმატებს.  
გავეცნობი თუ რამ სადმე  
იხვია და ინდაური,  
ყველა მოძმე მეცნობება –  
აქაური, იქაური.



მოგზაურმა ქვეყანაზე  
ყველაფერი უნდა ნახოს  
და უშიშრად ათასი მთა,  
ათასი ზღვა გადალახოს.

ამ ფიქრით და ამ განზრახვით  
ააჩქარა ფეხი ჭუკმა,  
თანაც უფრო გაიბლინძა,  
უფრო მეტად გაიფუყა.  
მიდის ჩვენი მოგზაური  
სან აღმა და ხანაც – დაღმა.  
გულიც ერჩის, მუხლიც უჭრის,  
არ უგრძენია წუთით დაღლა.



ათი ეზო გადიარა  
და ათი რუ — მამაცურად —  
ვით შეჰერის გმირ-მოგზაურს,  
გულუშიშრად გადაცურა.  
იქ კალია დაინახა,  
აქ — პეპელამ მოსჭრა თვალი,  
მაინც მიდის, მიღერლეტობს,  
არ დაეპნა გზა და კვალი.  
სან მურია იღრინება,  
სან — კრიახობს ავი კრუხი,  
მაგრამ სულაც არ აშინებს  
ჭუჭულს მათი ფახიფუხი.  
მაინც უკვირს: — ამ სულელებს  
რა უნდათ და, რა აბრაზებთ.  
თავის გზა აქვს და უშიშრად  
მიდის კიდეც თავის გზაზე...  
შუკა-შუკა მიღერლეტობს  
მოგზაური დაულლელი, —  
გადიარა ათი ეზო,  
ათი მთა და ათი ველი.  
მიდის, მიდის, მიჩქარის  
და კუდივით მისდევს მტვერი.  
გზაზე ხვდება იხვიც, ბატიც —  
ათასგვარი, ათასფერი.  
ყველას ძმურად მოეხვია  
და ყოველი წერილად ჰკითხა,  
თუმცა გულით პატიჟებდნენ,  
არ გაჩერდა არსად დიდხანს.  
რა შუკებით არ იარა —



დაკლაკნილი უცნაურად;  
რა არ ნახა, ვის არ შეხვდა,  
ვის არ გამოეცნაურა.  
ხიფათიც და ფათერაკიც,  
რა თქმა უნდა, ბევრი ნახა,  
მაინც ყველა გასაჭირი  
დასძლია და გადალახა  
და საღამოს — ლურჯი მთების  
საბუდარში მზე რომ ჩაჯდა,  
საიდანაც გაიპარა,  
იმ ეზოში შებაჯბაჯდა...  
საკვირველი აქ რა არის,  
თვითონ იცით ჩემზე კარგად, —  
ბატს შინისკენ სავალი გზა  
დღისით არსად დაუკარგავს.  
შებაჯბაჯდა და უეცრად  
სიხარული იგრძნო სულ სხვა,  
ციცქნა გული შეუქანდა,  
ერთი წუთით მოინუსხა,  
თითქოს ფეხქვეშ მიწა იძრა,  
თვალი მოსჭრა უცხო შუქმა  
და შეიცნო იმ ერთ ნამში  
ეს ქვეყანა ბატის ჭუქმა.  
მერე, როცა დედის ფრთებქვეშ  
შეიყუჟა, შეიბუდა —  
ქვეყანაზე არავისი  
არაფერი აღარ შურდა  
და იცოდა, ყველას სჯობდა  
ეს საბატე — სერზე მდგარი,  
მათი მყუდრო ეზო-ყურე,  
მათი თბილი საბუდარი.

## სამოთხის ჩიტერ

მთიდან მთავე გადაიბა,  
შეიდი კიწრო ხილი,  
თითო ხილზე ჩამოსკურდა,  
თითო ფურის ჩიტერ!..

და ოქროსფერ ნისკარტებით,  
რომ ამღერდნენ ერთად,  
შეიდ ფერად ააციალეს,  
ციხე ცისარტებლა!..

რუსულან კუსამვილი

მხატვარი  
ეალსაზ კუსამვილი

## ჩემარ! ეალური აჭრო...

გუშინ ჰქონდათ ვარჯიში  
ციდან სწრაფდაშვებაში,  
ქარში დიდხანს და ლაღად  
გამლილ ფრთებით ფრენაშიც.

დღეს კი მავთულზე სხედან,  
დო-რე-მი-ფა-სოლ-ლა-სიი,  
ჩუმად, გაკეთილი აქვთ,  
მერცხლებს ჭიბჭიკობაში...


## ლალის სიყვრე

— ალუ, ალუ, ალუ-ბალი, —  
ხეზე ჩამოსკურდა ლალი,  
კუნწულ-კუნწულ მოწყვიტა და  
ჩაალაგა კალათაში.

სარკესთან დგას, იპრანჭება:


— ალუ, ალუ, ალუ-ბალი... —  
მღერის და ლალის კუნწულებს,  
ეურებზე აცემებებს ლალი.





შეართე წერტილები  
რიგის მიხედვით და  
ნახავ, როგორი არსებები  
ბინადრობდნენ უძველეს  
დროში ჩვენს პლანეტაზე.

თუ ამ ცარიელ უჯრებს სწორად გააფერადებ, ნახატი გამოგივა. მაშა  
ასე, მიჰყევი პორიზონტალურ რიგებს: დასაწყისში მითითებულია,  
რამდენი უჯრა რა ფერით უნდა შეავსო. მაგალითად, პირველ  
რიგში თექვსმეტივე უჯრა ცისფერია, მეორეში – პირველი 9  
ცისფერი, შემდეგი 4 — ყვითელი და ა.შ.





**მორის კარემი** წარმოშობით ბელგიელი, ფრანგულენოვანი მწერალია. პირველი ლექსები 15 წლისამ დაწერა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ოჯახი საქმაოდ ღარიბულად ცხოვრობდა, მორისს ბავშვობიდან მხოლოდ სასიამოვნო მოგონებები დარჩა და ეს მის ნაწარმოებებშიც აისახა.

პოეტი ძირითადად საბავშვო ლექსებს წერდა. იგი სიცოცხლეშივე იქცა საბავშვო პოეზიის კლასიკოსად. მისი ლექსები თარგმნილია ასამდე სხვადასხვა ენაზე. კარემის ნაწარმოებებს შეხვდებით სახელმძღვანელოებში და ქრესტომათიებში, მის ლექსებს სწავლობენ სკოლაში, სახლში...


1972 წელს იგი პარიზში გამოაცხადეს „პოეტთა მეფედ“. ასეთი ტიტულის მფლობელები იყვნენ მხოლოდ ისეთი ცნობილი პოეტები, როგორიცაა პოლ ვერლენი, სტეფან მალარმე, უან კოკტი.

მორის კარემი გარდაიცვალა 1978 წლის 13 იანვარს. მისი „თეთრი სახლი“ ანდერლეხში დღეს მწერლის მუზეუმია.

გეახელით მსუბუქად,  
აი ჩემი ულუფა:  
ერთი კვერცი, ენა – ორი,  
სამი ლუკმა მსუეე ლორი,  
ოთხი გუფთა, გემრიელი  
დაბეგვილი ხორცით ღორის.  
ხუთი ცალი დაბრაწული  
გეახელით ვარიკა,  
ექვსი ლუკმა მროხის ხორცი  
არ დამეწვას, არიქა!  
შური – შვიდად დაჭრილი,  
ზუთხის შვიდი ნაჭერი,  
რვა ნამცხვარი ნუშით,  
ცხრა კი – ტორტი შუნშით.  
ვილუბმები მაღიანად,  
რა გგონით, მეუო განა?  
კიდევ მინდა ქადა,  
რომ დავნაურდე კარგად.

### მორის კარემი

# ლორმული



მხატვარი ლიკა დემეტრაშვილი

# ბერძოლი



კვირას ლეგენდა დამეკარგა  
ოთხშაბათს კი – სათითე,  
ხუთშაბათი დაღვა, ვეძებ  
და ალბომი არ მიღევს.

ჰარასკევი გათენდა და –  
გასაღები აღარ ჩანს,

ახლა გფიქობ, ნეტავ შაბათს  
რას დაგუდგე დარაჯად?

დედა დელავს აძვარად,  
– ნეტავ, ხვალ რას დაკარგავ?


გულმავიწერი გავხდი ძლიერ,  
რაც დორ გადის, რაც ხანი,  
შეიძლება დამეკარგოს  
ცხვირსახოცი ახალი.

თუმცა ამას ვინდა ჩივის  
ალბათ ცხვირსაც დაგუარგავ  
ასე მეარად არ იუს  
მიბმული ერთ ალაგას.

თარგმნა  
ირმა მალაციძეა

## შასვენება

გაიარე  
კვადრატებზე  
ისე, რომ  
დააგროვო 20  
ეულა




# რა მეცნა?



ქათმის შვილი – წიწილა,  
თხის შვილია – თიკანი.  
ძროხის შვილი – ბოჩოლა,  
მე რა მქვია, მითხარი? –  
ეკითხება კატას,  
ზაწაწინა კნუტი.  
გატამ კიდევ დინჯად  
აიპრისა კუდი,  
უჩასუხა: – ოპოოოოო,  
მიავ, მიავ, მიაააააავ,  
გააჩნია, ვინ ხარ,  
ვისი შვილი გქვია?!  
თუ ბუდემი ზიხარ,  
და ჭამ მწერებს ბაღში,  
შენ ეოფილხარ ჩიტის  
შვილი ანუ ბარტუი,



თევზის შვილს კი –  
ლიფსიტას,  
დაგიჭერდნენ ბადით.  
აქლემის შვილს –  
კოზაქს ხომ  
გატარებდნენ ბარგით.





თუ მაღლი ხარ, მაშინ  
შენ გერქმევა ლუპვი,  
უფა გეცოდინება,  
დაგაკვირდე, ერთი.  
მგონი, არ ხარ ბეჭმაც,  
რქები ხომ არ გეპეთა?  
და არა ხარ ჭუკიც,  
ბატთან ერთად გუბეში  
ვერ დაცურავ თუკი.




გამოდის რომ უოფილხარ  
ჩემი შვილი, მიააავ,  
ჰოდა დაიძახსოვრე,  
კატის კნუტი გქვია!




მხატვარი  
ელენე ვარამაშვილი

### აზა პასლანიძე



ოქროსფერი ქუდები აქვთ,  
წამწამები – თეთრი.  
როგორ ჰგვანან ერთმანეთს,  
დაგვირდი ერთი!



ველ-მინდვრებზე შეფენილი  
გვირილების დედა,  
ამ ტუქშისცალ გვირილებს,  
როგორ არჩევს ნეტა?

გასამართლებრივი კურსები

# რომანიზის ისტორია

იაკობ გოგებაშვილი  
1840 წლის 27 ოქტომბერს დაიბადა. წელს 27 კვირადღეა. ოქტომბერი კვირადღეა. რა დღე იქნებოდა 2014 წლის ოქტომბერი? მოდი, თვალი გადავავლოთ დღი, თვალი გადავავლოთ 2013 წლის ოქტომბრის თვის კალენდარს:

ორგანიზი	7	14	21	28
სამშაბათი	1	8	15	22
ოთხშაბათი	2	9	16	23
ხუთშაბათი	3	10	17	24
პარასკევი	4	11	18	25
შაბათი	5	12	19	26
კვირა	6	13	20	27



ადვილი შესამჩნევია, რომ რიცხვისათვის 7-იანის მიმატებით კვირის დღე არ იცვლება! წელიწადში დღეების რაოდენობა შვიდის ჯერადი რომ ყოფილიყო, გვექნებოდა ეგრეთ წოდებული **მუდმივი კალენდარი**, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ კვირადღეს დაიბადეთ, თევენი დაბადების დღე ყოველთვის კვირას დაემთხვეოდა. ასეთი კალენდრის შექმნა რამდენიმეჯერ სცადეს, თუმცა უშედეგოდ.

რამდენი დღეა წელიწადში? წელიწადში დღეების რაოდენობა 7-ის ჯერადი კი არა, მთელი რიცხვიც კი არ არის. ერთ წელიწადში დაახლოებით 365 1/4 დღე-ლამე, ანუ, 365 დღე-ლამე და 6 საათია, ესე იგი, თუ ახალი წელი ერთ წელს 24 საათზე დადგა, მომდევნო წელს დადგება დილის 6 საათზე, შემდეგ წელს – დილის 12 საათზე, შემდეგში – 18 საათზე და ბოლოს ისევ 24 საათზე!

ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, წელიწადის დღეების რაოდენობად იღებენ რიცხვს 365; ყოველ ოთხ წელიწადში გროვდება ცდომილება 6 სთ+6სთ+6სთ+6სთ=24 სთ, ანუ ერთი დღე-ლამე, რომელიც ყოველ მეოთხე წელს ემატება თებერვლის თვეს. ასეთ წელს თებერვალში არის 29 დღე-ლამე, ხოლო წელიწადში 366 დღე-ლამე.

განვიხილოთ ოთხის ჯერადი რიცხვები: 4; 8; 12; – 2000; 2004; 2008; 2012; 2016; 2020 და ასე შემდეგ. ყველა ეს რიცხვი იყოფა ოთხზე და მათ შორის ინტერვალი 4-ის ტოლია. ასტრონომებისათვის ეს არის ნაკიანი წლები. ამ წლებში წელიწადში არის 366 დღე-ლამე და თებერვალი 29-ითაა.

გამოვითვალოთ რამდენი 7-იანია 365-ში. ამისათვის 365 უნდა გავყოთ 7-ზე, ეს არ არის რთული დავალება, მით უმეტეს, თუ მიკროკალკულატორს გამოვიყენებთ. კალკულატორით მივიღებთ, რომ  $365 : 7 = 52.1429$ . რას ნიშნავს

$$a+b=ab$$

$$\begin{matrix} > \\ - \end{matrix} = x$$

5+4=?

# რა არის 5+4?

ეს? ეს ნიშნავს, რომ 365-ში არის 52 შვიდიანი. 52 რომ გავამრავლოთ 7-ზე, მივიღებთ 364-ს! რა დასანანია, წელიწადში 364 დღე-ღამე რომ ყოფილიყო, გვექნებოდა მუდმივი კალენდარი!

მაგრამ წელიწადში არის 364+1 დღე-ღამე, სწორედ ამიტომ, ყოველწლიურად ყოველი თარიღი კვირის ერთი დღით გადაიწევს. 2014 წელს იაკობის დაბადების დღე-იქნება ორშაბათი, 2015 წელს – სამშაბათი; რა დღე-იქნება იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღე 2016 წელს? 2016 წელი ნაკიანია, ეს წელიწადი 366 დღისაგან შედგება, ე.ი. გვაქვს  $364+1+1$  დღე-ღამე, ამიტომ ამ წელს 29 თებერვლამდე ყველა თარიღი ერთი დღით გადაიწევს, 29 თებერვლის შემდეგ კი – 2 დღით, ამიტომ იაკობის დაბადების თარიღი ორი დღით გადაიწევს – იქნება ხუთშაბათი დღე და ა.შ.



ამრიგად, თუ წელიწადი ნაკიანი არ არის, ყოველი თარიღი წინა წელთან შედარებით ერთი დღით წინ წაიწევს; თუ წელი ნაკიანია, მაშინ 29 თებერვლამდე ყველა თარიღი გადაიწევს ერთი დღით, 29 თებერვლის შემდეგ კი – 2 დღით.

ახლა არ უნდა გაგიჭირდეთ შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა: როდის არის თქვენი დაბადების დღე 2014, 2015, 2016 წლებში?

გამოიყენეთ 2013 წლის კალენდარი და 2014 წლის კალენდარი შეადგინეთ დამოუკიდებლად.

## შესვენება

ცარიელ  
უჯრებში ჩაწერე  
ციფრები 1-დან  
9-ის ჩათვლით  
ისე, რომ ყველა  
პასუხი სწორი  
იყოს.



კუ



ამჯობინა ბაკანი  
ბალანსა და ეუდს,  
წყალშიც ცხოვრობს,  
ხმელეთზეც,  
რა იქნება? ..

კუ



ნიავმა ისე გაფანტა,  
არსად დატოვა კვალი,  
საკვამურიდან ამოდის.  
მიხვდით, რა არის? .....



კუდი მოკლე აქვს ძალიან,  
მაგრამ ბრძანდება ყურგრძელი,  
სკუპ-სკუპით დარბის, მარდია.  
რა ცხოველია? .....

კუ


განა თბილი ქურქი ეცვა?  
თბილი ქუდი ეხურა?  
მაგრამ მაინც არ გაფრინდა  
თბილ ქვეყნებში .....



კუ

ჯიუტი თუა? – ძალიან!  
შუბლს რა უმშვენებს? – ქოჩორი!  
მშობლები რა ყავს? – ვირები!  
თავად რა ჰქვია? .....

ნი



# კაცუარი უსოფელი ველის გენერალი



სამუშაო  
ჩატარებული აქციები  
რეპრეზენტატორი

ଶୁଣିବାକାରୀ ହେଉଥିଲା  
ପାଦମୁଖ କାହାରଙ୍କାରୀ



**მთავარი რედაქტორი: დემი ნიკოლოვა**  
**სარედაქციო საბჭო: თამარ ნინიშვილი, სალომე კვაჭანტირაძე, ცისანა ნიკოლაიშვილი,**  
**მაია ნიგნივაძე, მაგდა კვაჭანტირაძე, ნუგზარ არჩემაშვილი**

## ნახატი ყდაზე: ელენე ვარამაშვილის

<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com  
ფასი: 2 ლარი

A standard linear barcode is positioned vertically on the right side of the page. It consists of vertical black bars of varying widths on a white background.